საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/87

14 ივნისი 2021 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ანდრეი ტრეგუბოვის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (10.06.2021, ოქმი N27–20/12 და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (11.06.2021 №559137) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **ანდრეი ტრეგუბოვის სადისერტაციო ნაშრომის: „ შავი ზღვის საქართველოს სანაპირო ზოლის ორსაგდულიანი მოლუსკის - Anadara inaequivalvis (Bruguire,1789) ბიოეკოლოგია"** - საჯარო დაცვა დაინიშნოს 2021 წლის 24 ივნისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის №35/რუსთაველის N32).

2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი (ბიოლოგია) სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ქეთევან დოლიძე – ბსუ-ს პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი, (თავჯდომარე);
ბ) ნანა ზარნაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის დოქტორი, (მდივანი);
გ) თემურ გოგმაჩაძე – ბსუ–ს ემერიტუსი, ბიოლოგიის დოქტორი;

დ) რეზო გორაძე – ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების სამეცნიერო ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის დოქტორი;

ე) რევაზ დიასამიძე – სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო-მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, ბიოლოგიის დოქტორი;

ვ) მადონა ვარშანიძე –სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო-მეთევზეობის, აკვაკულტურის და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტისი, ბიოლოგიის დოქტორი;

ზ) ტარიელ წეროძე – შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო–კვლევითი ცენტრის“ მენეჯერი, ბიოლოგიის დოქტორი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბრძანება სადისერტაციო საბჭოს მდივნის მიერ გაეგზავნოს დოქტორანტს და ფაკულტეტის დეკანის ოფისის მიერ განთავსდეს მის პირად საქმეში.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი: **მერაბ ხალვაში**